სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

25/03/2025

MES 1 25 0000333136

„სწავლის საფასურის გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2023 წლის 31 იანვრის MES 8 23 0000103347 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 10 მარტის N01-06-02/11 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სწავლის საფასურის გადახდის წესის განსაზღვრის თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2023 წლის 31 იანვრის MES 8 23 0000103347 ბრძანებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბ.ა) საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლების მქონე პირისთვის, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით ჩარიცხული პირისა:

ბ.ა.ა) ყველა პროგრამაზე - 4000 ლარი;

ბ.ბ) სხვა პირისთვის, გარდა ბ.ა) ქვეპუნქტში მითითებული პირისა:

ბ.ბ.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 4000 ლარი;

ბ.ბ.ბ) რუსულენოვან პროგრამაზე - 8000 ლარი;

ბ.ბ.გ) ინგლისურენოვან პროგრამაზე - 12500 ლარი.“.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით